სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება № 3/8

ქ. თბილისი **„31“ იანვარი, 2011 წელი**

შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ” ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის №1 განკარგულების შესაბამისად.

ერთის მხრივ, **სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო“**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ინა ავალიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“),

და მეორეს მხრივ **შპს „ოფის 1“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ცუხიშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოსათვის“, უფლისციხეში ვიზიტორთა ცენტრის საკონფერენციო დარბაზის უზრუნველსაყოფად, სკამების შესყიდვა CPV კოდი - 39112000 (შემდეგში „*შესყიდვის ობიექტი*“), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტია 37 ცალი სკამი (146/FGO059).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება შეადგენს 95 (ოთხმოცდათხუთმეტი) ლარს.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 3515 (სამი ათას ხუთას თხუთმეტი) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული შესყიდვის ობიექტის საცალო და ჯამური ღირებულება მოცემულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტი არაუგვიანეს 2011 წლის 14 თებერვლის ჩათვლით.

4.2 მიწოდების ადგილად ითვლება - უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია, შესყიდვის ობიექტის გადაცემისას შემსყიდველს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან:

- გიორგი იაშვილი - სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს“ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
- ზურაბ ხეცურიანი - გიორგი იაშვილი - სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს“ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
- ზურაბ სადაღაშვილი - უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის მმართველი.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება, შესყიდვის ობიექტის მიწოდების თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

6.3 ანგარიშსწორება მოხდება წარმოდგენილი უნაღდო საბანკო გადარიცხვის ფორმით ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის/გაწეული მომსახურების მიხედვით.

7. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროში.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში.

7.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.4 მხარეები ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის გადაიხდიან პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.5 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ ცხადი გახდა, რომ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებშიც არ შეუძლია შემსყიდველს მიაწოდოს მთლიანი შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი;

(ბ) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები მხარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით.

9.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა.

10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ:

- გიორგი იაშვილი - სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს“ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
- ზურაბ ხეცურიანი - სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს“ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

10.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

10.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11 სხვა პირობები

11.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის №5
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: 220101222
ა/ა № 200122900
ს/კოდი: 204562311

სსიპ „საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს“
გენერალური დირექტორის მოადგილე

ი. ავალიანი

მიმწოდებელი:

შპს „ოფის 1“
მის: ქ. თბილისი,
მარშალ გელოვანის გამზ. 155ა
ს.ს. „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE 91 TB06 0000036020366 7/GEL
ს/კოდი: 204964039

შპს „ოფის 1-ის“
დირექტორი

დ. ცუხიშვილი